იტალია

MINISTERO DELL'INTERNO

euaa
EUROPEAN UNION AGENCY FOR ASYLUM

შენი უფლებები და ვალდებულებები მიღების ეტაპზე

ეს ინფორმაცია არის შენთვის, თუ:

- **ხარ 18 წლამდე ასაკის**
- **ერთ ან ორივე მშობელთან ერთად ჩამოხვედი**
- **შენ და შენმა ოჯახმა აცნობეთ ხელისუფლებას, რომ გსურთ თავშესაფრის (ასევე ცნობილი როგორც საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა) იტალიაში.**

შენ და შენი ოჯახი უსაფრთხოდ ხართ ამ ქვეყანაში.

GEORGIAN

ევროპაში ყველა 18 წლამდე ასაკის ადამიანი ითვლება ბავშვად და უფლება აქვს მიიღოს **სპეციალური მხარდაჭერა**.

ვის შეუძლია შენი დახმარება?

ქვეყანაში ყოფნისას შენ და შენს ოჯახს სხვადასხვა პროფესიონალი დაგეხმარებათ, მაგალითად **მთარგმნელი** გაგიმარტივებთ კომუნიკაციას თქვენთვის გასაგებ ენაზე. ისინი ზუსტად თარგმნიან თქვენს სათქმელს.



რას მიიღებთ შენ და შენი ოჯახი?

სანამ ხელისუფლება განიხილავს თქვენი თავშესაფრის განაცხადს, თქვენ უზრუნველყოფილი იქნებით სხვადასხვა სახის მხარდაჭერითა და მომსახურებით. ამას **მიღება** ეწოდება.

როგორც ბავშვსა და თავშესაფრის მაძიებელს, უფლებებთან ერთად გაქვს ასევე პასუხისმგებლობებიც. მნიშვნელოვანია მათი პატივისცემა. ეს ყველაფერი ამ ბროშურაშია ახსნილი.

თუ ბროშურის რომელიმე ნაწილი გაუგებარია ან გაქვს შეკითხვები, ჰკითხე სამუშაო პერსონალს ან შენს მშობლებს.

თქვენ მოგვიანებით მიიღებთ დამატებით ინფორმაციას.

თქვენი მდგომარეობის მიხედვით, შენ და შენი ოჯახი მიიღებთ:

- ღამისგასათევ ადგილს

- საკვებს

- პირადი ჰიგიენის საშუალებებს

- ტანსაცმელს

- შენმა ოჯახი შესაძლოა მიიღოს ფული ყოველდღიური ხარჯებისთვის

უფლება ჯანდაცვაზე

ხელისუფლება უზრუნველყოფს შენთვის საჭირო სამედიცინო მომსახურებას.

პერსონალი გაცნობებთ შენ და შენს ოჯახს, თუ შეგიძლიათ ექთნის ან ექიმის მიერ სამედიცინო შემოწმება.

აცნობე სამუშაო პერსონალს, თუ:

- შენ ხარ ავად, დაშავებული ან გესაჭიროება სასწრაფო სამედიცინო დახმარება;
- შენ გაქვს შეზღუდული შესაძლებლობები;
- შენ ძალადობის მსხვერპლი გახდი;
- შენ განიცდიდი ან გრძნობ ვინმეს წინაშე შიშს;
- შენ ხარ ორსული ან შესაძლოა, რომ იყო ორსულად;
- შენ ან შენს ოჯახს გჭირდებათ მხარდაჭერა ნებისმიერი სხვა მიზეზით.

თუ ხშირად გრძნობ სევდას, ბრაზს, შიშს, შფოთვას ან გაქვს ძილის პრობლემები შეგიძლია, მიმართო ფსიქოლოგს.
შენ შეგიძლია ენდო ექთანს, ექიმს, ფსიქოლოგს და ყველა თანამშრომელს.
არაფერი, რასაც იტყვი, არ გადაეცემა სხვა პირებს, შენი მშობლების გარდა, შენი თანხმობის გარეშე. ერთადერთი გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც საფრთხე ემუქრება შენს სიცოცხლეს ან სხვა ადამიანის სიცოცხლეს.

განათლების მიღების უფლება

როგორც ბავშვს, გაქვს სწავლა-განათლების უფლება. ჩვენი პერსონალისგან შეიტყობ სასწავლო და გასართობი აქტივობების შესახებ, რომლებიც დაგეხმარებიან განათლების მიღებაში, განვითარებასა და თანატოლებთან ურთიერთობაში.





მუშაობის უფლება

შენი ასაკისა და მდგომარეობის მიხედვით, სურვილის შემთხვევაში, შეიძლება გქონდეს მუშაობის უფლება. ამის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართე ჩვენს თანამშრომლებს.

სად დარჩებით შენ და შენი ოჯახი?

ადგილი, სადაც დარჩებით, ხელისუფლების მიერ თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის პერიოდში, თქვენს სიტუაციაზეა დამოკიდებული.

პერსონალი გაცნობებთ სად უნდა დარჩეთ. **თქვენ შეგიძლიათ მხარდაჭერისა და მომსახურების მიღება მხოლოდ ხელისუფლების მიერ დანიშნულ ადგილას.**

იშვიათ შემთხვევაში ოჯახები შეიძლება მოთავსდნენ ცენტრში, სადაც ვერ შეძლებენ თავისუფლად მოსვლასა და გასვლას. თუ ასეთ სიტუაციაში ხართ, სამართლებრივი მომმარაგებელი და სამუშაო პერსონალი დაგეხმარებათ. იურიდიული მრჩეველი არის ადამიანი, რომელიც იცნობს ამ ქვეყნის წესებს, შეისწავლის თქვენს მდგომარეობას და დაგეხმარებათ.

სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ შენ გაქვს უფლება:



- **დარჩე შენს ოჯახთან ერთად**

- მოითხოვო **დახმარება ურთიერთობისთვის** ოჯახის წევრებთან **და მოიძიო ისინი, თუ არ იცით მათი ადგილსამყოფელი.**

გაქვს უფლება იყო უსაფრთხოდ. არავის აქვს უფლება:

დაგემუქროს | მოგაყენოს შეურაცხყოფა | მოგაყენოს ზიანი

არ აქვს მნიშვნელობა, უცნობი იქნება თუ ნაცნობი ადამიანი.
თუ გაქვს პრობლემა მშობლებთან ან სამუშაო პერსონალთან შეგიძლია, თამამად განაცხადო ამის შესახებ.

რა ვალდებულებები გაქვთ შენ და შენს ოჯახს მიღების პროცესში?

მნიშვნელოვანია, რომ სიმართლე თქვათ და ხელისუფლებასთან ითანამშრომლოთ, მაშინაც კი, თუ ზოგჯერ გეშინიათ და გიჭირთ თქვენი ისტორიის მოყოლა.
პერსონალს შეუძლია დაგეხმაროთ, თუ ისინი იციან თქვენი სიტუაციის შესახებ.

ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე ვალდებულება, რომელსაც შენ და შენი ოჯახი უნდა დაემორჩილოთ:

- დაიცავით იმ ადგილის წესები, სადაც ცხოვრობთ.
- არ დატოვოთ ის ადგილი, სადაც ხელისუფლებამ დარჩენა გიბრძანათ.
- დაიცავით იმ ქვეყნის კანონები, რომლებსაც სამუშაო პერსონალი თქვენთვის განმარტავს.

რა მოხდება, თუ შენ ან შენი ოჯახი არ შეასრულებთ თქვენს ვალდებულებებს?

თუ ეს მოხდება, თქვენ შეგიძლიათ ღიად ესაუბროთ პერსონალს და აუხსნათ თქვენი სიტუაცია. ხელისუფლება შეაფასებს სიტუაციას და აცნობებს თქვენს მშობლებს თუ ისინი გადაწყვეტენ რაიმე ქმედების განხორციელებას.

მაგალითად, თუ თქვენი ოჯახის წევრი არ ითანამშრომლებს ხელისუფლებასთან, **ამ ოჯახის წევრს შეიძლება ნაკლები მხარდაჭერა მიეცეს**.

თუ ოჯახის რომელიმე წევრი ძალადობრივად მოიქცევა, **ამ ოჯახმა შეიძლება დაკარგოს ის მხარდაჭერა, რომელსაც იღებდნენ.**. შესაძლოა, ჩაერიოს პოლიციაც.

მხარდაჭერის ტიპი, რომელიც მათ მაინც ექნებათ, დამოკიდებულია მათ პირად მდგომარეობასა და საჭიროებებზე.

შენ და შენი ოჯახი ამჟამად იმყოფებით იტალიაში, რომელიც არის EU+ ქცეყანა. EU+ ქვეყნებია:

ევროპული კავშირის (EU) 27 წევრი სახელმწიფო: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, იტალია, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, ირლანდიის რესპუბლიკა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი და

4 სხვა ქვეყანა: ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია.

თავშესაფრის მოთხოვნისა და EU+ ქვეყნებში მოგზაურობის წესები

- შენ და შენი ოჯახი უნდა დარჩეთ იტალიაში და არ დატოვოთ სხვა EU+ ქვეყანაში.
- თუ თქვენ [მრავლობითი] გაიქცევით, უარყოფითი შედეგები მოჰყვება, რაც მოგვიანებით იქნება ახსნილი. მაგალითად, თქვენ [მრავლობითი] ნაკლებ მხარდაჭერას მიიღებთ სხვა ქვეყანაში.
- გახსოვდეთ, რომ თქვენ უნდა დაარეგისტრიროთ თქვენი თავშესაფრის განაცხადის სახით იმ EU+ ქვეყანაში, სადაც პირველად ჩახვედით, თუ ხელისუფლებამ სხვაგვარად არ გაცნობათ.
- ამ ქვეყნებიდან მხოლოდ ერთია პასუხისმგებელი თქვენი თავშესაფრის განაცხადის განხილვაზე. მეურვეები იტალიაში გეტყვიან, რომელი ქვეყანა არის პასუხისმგებელი ამაზე.

ამ პროცედურების შესახებ ცალკე ბროშურებში შეიტყობთ.

რას ნიშნავს, თუ შენ და შენი ოჯახი გადახვალთ რომელიმე EU+ ქვეყანაში?



იტალიაში:

- თქვენი თავშესაფრის პროცედურა შეიძლება შეწყდეს.

სხვა EU+ ქვეყანაში:

- ხელისუფლებამ შეიძლება გადაწყვიტოს თქვენი EU+ ქვეყანაში დაბრუნება, რომელიც თქვენ დატოვეთ.

იმ მომენტიდან, როდესაც ხელისუფლება გაცნობებთ ამ გადაწყვეტილების შესახებ, თქვენ ვეღარ ისარგებლებთ გარკვეული უფლებებით, მაგალითად:

- თქვენ არ მიიღებთ გარკვეული სახის მხარდაჭერას და
- თქვენ არ გექნებათ მუშაობის უფლება.

მხარდაჭერის ტიპი, რომელსაც კვლავ მიიღებთ, დამოკიდებული იქნება თქვენს სიტუაციასა და საჭიროებებზე.

ვის შეუძლია შენი და შენი ოჯახის დახმარება, თუ თქვენ არ ეთანხმებით ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას?

თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ იურიდიულ მრჩეველს.

პერსონალი ასევე გაცნობებთ არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ მოგაწოდონ ინფორმაცია და გაგიწიონ დახმარება.

თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს (UNHCR). UNHCR იცავს იმ ადამიანებს, ვინც იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი ქვეყანა.

ჩემი ჩანაწერები

ეს ბუკლეტი შექმნილია მხოლოდ ინფორმაციის მისაწოდებლად. ის თავისთავად არ ქმნის უფლებებს ან ვალდებულებებს. ევროპის კავშირისთვის თავშესაფრის სააგენტომ (EUAA) მიაწოდა ამ მასალის ძირითადი ნაწილი, და ამ ბუკლეტის გამოცემა ან შეცვლა ნებადართულია მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის EUAA-ის მიერ. EUAA არ იღებს პასუხისმგებლობას ამ ბუკლეტში ევროკავშირის წევრი ქვეყნების ან სხვა პასუხისმგებელი მესამე მხარის მიერ შეტანილი ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსზე, სრულყოფილებაზე, კანონიერებასა თუ სანდოობაზე. არც EUAA და არც პირი, რომელიც EUAA-ის სახელით მოქმედებს, არ არის პასუხისმგებელი ამ ბუკლეტში მოცემული ინფორმაციის შესაძლო გამოყენებაზე.

© ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო, 2025